

უკ-78

E-learning - ახალი შესაძლებლობა თანამედროვე მუსიკის აკადემიებისთვის (საკითხის დასმისთვის)

ნანა შარიქაძე

ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (გრიბოედოვის ქ 8-10),
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია:

უმაღლესი სამუსიკო და სახელოვნებო განათლების კერებში აქტიურად მუშაობენ ახალი e-learning მეთოდოლოგიის დანერგვაზე. ინტერესი ერთნაირად დიდია როგორც ევროპულ ისე სკანდინავიის და ბალტიისპირეთის მუსიკის აკადემიების მხრიდან. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება დიდწილად დრომ განაპირობა; ერთ-ერთი მთავარი კითხვა რომელიც ისმის განათლების მართვის, სწავლების მეთოდოლოგიის სპეციალისტებისგან შემდეგში მდგომარეობს: როგორი იქნება განათლების მიღების, სწავლებისა და სწავლის ფორმები მომავალში? ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში, განსაკუთრებით სკანდინავიასა და ბალტიისპირეთში უკვე გვხვდება წარმატებული მაგალითები დისტანციური სწავლებისა და E-portfolio მეთოდოლოგიის მიმართულებით. საქართველოში დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიის კუთხით თითო-ორი პროექტი განხორციელებული ევროკავშირის დაფინანსებით ისიც საუნივერსიტეტო სფეროში, სახელოვნებო სფეროში ამ საკითხზე მსჯელობა ჯერ არ დაწყებულა. შესაბამისად წინამდებარე სტატიის ფარგლებში საკითხის დასმით შემოვიფარგლები და ყურადღებას გავამხვილებ e-learning მეთოდოლოგიის მნიშვნელობაზე, არსზე, შესაძლებლობებზე და თვისებურებებზე

საკვანძო სიტყვები: e-learning მეთოდოლოგია, სწავლება და სწავლა, მუსიკალური განათლება

განათლების მიზანია გაზარდოს ისეთი თაობა, რომელსაც ექნება არა მხოლოდ წინა თაობების მიერ უკვე მიღწეულის გამეორების, არამედ ახლის გაკეთების უნარიც; ჩემთვის განათლება ნიშნავს გამომგონებლების, ინოვაციების შექმნას - **ჟან პიაჟე** 21-ე საუკუნის უწიგნური ადამიანი იქნება არა ის ვინც წერა-კითხვა არ იცის, არამედ ის ვისაც არ შესწევს ნასწავლის დავიწყების და თავიდან სწავლის უნარი - **ალვინ ტოფლერი**

ტექნოლოგიის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საუკუნეების მანძილზე მეცნიერები და „ტექნოლოგიის მამები“ ცდილობდნენ შეექმნათ საგანმანათლებლო დანიშნულების მქონე ხელსაწყოები, რომლებიც ადამიანებს ცოდნის მიღებას გაუადვილებდა, სწავლისა და სწავლების პროცესს ბევრად უფრო მოსახერხებელს გახდიდა¹; გასული საუკუნიდან მოყოლებული განათლების პრაქტიკოსი წარმომადგენლები თუ განათლების ექსპერტები

¹ საანგაროშო დაფა, სასწავლო რესურსების გასამრავლებელი მანქანა (დღევანდელი copy machine წინაპრები - მიმეო და Gestetner), საწერი დაფა უკვე 200 წელზე მეტია გამოიყენება [1; 2].

ცდილობდნენ სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიის, საგანმანათლებლო რესურსებისა და ინფორმაციის მიწოდების ფორმების დახვეწას, განვითარებას და ამ პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების, ელექტრონული მედიის გამოყენებას². სხვაგვარად რომ ვთქვათ განათლება და ტექნოლოგიური თუ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესი ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ პრაქტიკულად უალტერნატივო გახადა საინფორმაციო და ინტერნეტ ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება განათლების ყველა საფეხურზე [3; 4]; ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე კი ეს გავლენა საყოველთაო გახადა და შეეხო ისეთ სფეროს, როგორც მუსიკალური განათლებაა.

ერთ-ერთი მთავარი დისკუსია, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე მიმდინარეობს, განათლების მართვის სპეციალისტების, მათ შორის მუსიკალური განათლების ექსპერტების მხრიდან დასავლეთში, შემდეგში მდგომარეობს: რა სახეს მიიღებს განათლების მიღების, სწავლებისა და სწავლის ფორმები ინტერნეტ კომუნიკაციების, საინფორმაციო და მობილური ტექნოლოგიების ეპოქაში? რა გავლენას მოახდენს ის განათლების სხვადასხვა დარგზე? ეს კითხვა ერთნაირად აქტუალურია, როგორც საუნივერსიტეტო, ისე სახელოვნებო და ზოგადი განათლებისთვის. შესაძლოა ამიტომაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, უმაღლესი სამუსიკო და სახელოვნებო განათლების ისეთ კერებში, როგორცაა სკანდინავიის, დიდი ბრიტანეთის და დასავლეთ ევროპის მუსიკის აკადემიები (საუკუნეების მიჯნაზე კი ბალტიისპირეთის მუსიკის აკადემიები, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონსერვატორიები), აქტიურად მუშაობენ სწავლებისა და სწავლის ახალ - e-learning მეთოდოლოგიაზე და მის მრავალფეროვან გამოყენებაზე დისტანციური სწავლებიდან დაწყებული Flipped classroom სწავლებით დამთავრებული. კონსერვატორიის პარტნიორი სასწავლებლების აკადემიური პერსონალი ჩართულია სწავლების ამ ინოვაციური მეთოდოლოგიის დანერგვაში და ზოგჯერ ექსპერიმენტირების უფლებასაც აძლევს თავს. მეტიც, სწავლების ახალი მეთოდ-

² საგანმანათლებლო დაწესებულებებების მიერ, ზოგადად მედიის და ელექტრონული მედიის გამოყენება სათავეს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს. გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს:

• **მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლები:**

- მოსწავლის/სტუდენტის შეფასების მექანიკურ სისტემა: Sidney Pressey's მექანიკური სწავლების მანქანა (1920), რომელსაც მხოლოდ სწორი პასუხის (მრავალი არჩევანიდან) დაფიქსირების შემთხვევაში გადაჰყავდა სტუდენტი შემდეგ კითხვაზე;
- სტუდენტის შეფასების სისტემატიზაციის მიზნით შექმნილი Army Alpha (1917), რომელიც აფასებდა აშშ სამხედროთა უნარებს და თეორიული მომზადების დონეს პირველი მსოფლიო ომის დროს.

• **მეორე მსოფლიო ომის პერიოდი**

- საგანმანათლებლო ფილმები - მაგ კომუფლიაჟი (1944), კომუფლაჟის ტექნიკის ტრენინგისადმი მიძღვნილი ფილმი

• **50-იანი წლები**

- სლაიდ პროექციის მეთოდის აქტიური გამოყენება (1950 წლიდან);

• **1960-იანი წლები**

- ილიონისის უნივერსიტეტში შეიქმნა აუდიტორიები, სადაც დამონტაჟდა კომპიუტერული ტერმინალები და სტუდენტებს ჰქონდათ წვდომა ინფორმაციაზე და შეეძლოთ წინასწარ ჩაწერილი ლექციების მოსმენა
- გასული საუკუნის შუა წლებიდან სტენფორდის პროფესორებმა დაიწყეს ექსპერიმენტი არითმეტიკის სწავლების ელექტრონული მეთოდის სახით საშუალო სკოლაში;

• **80-იანი წლები**

- კომპიუტერული სწავლება, კომპიუტერული სისტემების ბიბლიოთეკებში დანერგვა;
- რევილუცია - სწავლება და სწავლა ინტერნეტის გამოყენებით, დისტანციური სწავლება [5]

დებისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ მათ ანალიზს არა ერთი ნაშრომი³, სამეცნიერო კონფერენცია⁴ თუ პროექტი მიეძღვნა⁵. ბოლო ათწლეულია, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება საშუალო და უმაღლეს განათლებაში პრიორიტეტად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის მიერ; რამაც ბიძგი მისცა ამ მიმართულებით სხვადასხვა კვლევას, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას და სწავლების მეთოდოლოგიის გაფართოებას: საქართველოში e-Learning კუთხით რამდენიმე პროექტია განხორციელებული ევროკავშირის დაფინანსებით, ისიც მხოლოდ საუნივერსიტეტო სფეროში⁶, სახელოვნებო სფეროში, სამწიხაროდ, ამ საკითხზე აქტიური მსჯელობა ჯერ არ დაწყებულა.

შესაბამისად წინამდებარე სტატიის ფარგლებში საკითხის დასმით შემოვიფარგლები და ყურადღებას გავამხვილებ e-learning-ის მცნების არსზე და მნიშვნელობაზე; ვიმსჯელებ ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობასა და მათ

³ ნაშრომები პირობითად ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: 1 მეცნიერები, რომლებიც შეისწავლიან ახალი ტექნოლოგიების განათლებაში ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს (მეიერი, მორენო, კლარკი, ნგუენი, სველერი, ვიტელი) და 2. პრაქტიკოსი პედაგოგები, რომლებიც იყენებენ E-Learning მეთოდოლოგიას, როგორც სალექციო ფორმატს, ისე ინდივიდუალური მეცადინეობების პრაქტიკაში. მუსიკალური სფეროდან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი: ე. ჰელმი (აშშ, სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტი), მ. ლოჰმან-იანსენი (დანის სამეფო აკადემია აარჰუსი/აალბორგი), ლ. ლაურსენი (დანის სამეფო აკადემია აარჰუსი/აალბორგი), მ. ვენსბერგი (სტავანგერის კონსერვატორია, ნორვეგია) და სხვ.

⁴ New Time Music – ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც იმართება დანის სამეფო მუსიკის აკადემიაში აარჰუსში (RAMA); E-learning-დმი მიძღვნილი კონფერენციები სიბელიუსის აკადემიაში (ხელოვნების უნივერსიტეტი, ჰელსინკი) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ან მეთოდოლოგიური კონფერენცია დღემდე არ ჩატარებულა. თუმცა, 2017 წლის მაისში და ივლისში დაგეგმილია განათლებასა და კვლევაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისადმი მიძღვნილი შემდეგი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება:

- 2017 წლის 1-2 მაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, "უმაღლესი განათლება-ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები", HENTI-2017; კონფერენცია ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ქუთაისის მერიისა და Erasmus+-ის საქართველოს ეროვნული ოფისის მხარდაჭერით;
- 2017 წლის 7-8 ივლისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი "ინტერნეტი და საზოგადოება" (INSO2017).

⁵ ევროპის მოწინავე კონსერვატორიებისა და უნივერსიტეტების მონაწილეობით 1995 წელს შეიქმნა კონსორციუმი MUSICWEB („Developing new tools for music education, using wide-area networks and hypermedia technology“), რომელიც მიზნად ისახავდა ინტერნეტ ტექნოლოგიის მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენებას სამუსიკო განათლებასა და სწავლებაში. აღნიშნულ პროექტში ჩართულები იყვნენ: ჰააგის სამეფო აკადემია (აპლიკანტი), დარმშტადტის ტექნიკური უნივერსიტეტი, გრაცის საინფორმაციო სისტემებისა და კომპიუტერული მედიის ინსტიტუტი, ჰანოვერის მუსიკის, თეატრისა და მედიის უნივერსიტეტი, IRCAM, გლაზგოს უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტი, თანაპარტნიორი ევროპულ კონსერვატორიათა ასოციაცია (AEC); ამ პროექტის ფარგლებში მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია განხორციელდა და შესაბამისი პერსონალი დატრენინგდა ლონდონის მუსიკისა და დრამის გილდჰოლის სკოლაში, გრონინგენის კონსერვატორიაში (ნიდერლანდები), ნორვეგიის მუსიკის აკადემიაში (ოსლო) სიბელიუსის მუსიკის აკადემიაში, მალმოს მუსიკის აკადემიასა და პარიზის ეროვნული კონსერვატორიაში.

⁶ პროექტები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. ის პროექტები, რომლებიც E-learning -ის დანერგვას ეძღვნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: ა) E-learning-Weiterbildungnetzwerk im Tourismus 158739-Tempus-DE-Tempus-JPHES (საქართველოდან მონაწილეობდნენ ქუთაისის კერძო უნივერსიტეტი, ბათუმის საზღვაო აკადემია, თელავის უნივერსიტეტი (მაშინ წნორის ფილიალის სახით) და თავართქილადის უნივერსიტეტი. პროექტი ეხებოდა ტურიზმის სფეროში ელექტრონული სწავლების დანერგვას. ამ ეტაპისთვის დასრულებულია); და ბ) Developing tools for lifelong learning in Transcaucasus region: e-Learning 544605-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPHES (საქართველოდან ჩართულები არიან თსუ, ტექნიკური უნივერსიტეტი და ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი. ეს პროექტი სრულდება წელს). უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პროექტი ევროკავშირის პროგრამა ტემპუსით იყო დაფინანსებული; 2. პროექტები, რომლებიც + eLearning-ს როგორც მეთოდის გამოყენებას ისახავდნენ მიზნად

სასწავლო პროცესში ჩართვის აუცილებლობაზე, ყურადღებას გავამხავილებ ასევე E-Learning სწავლების გამოწვევები.

რა არის e-learning? რა ფორმებით ავლენს თავს e-learning?

ვიკიპედიის მიხედვით, **e-learning** არის საგანმანათლებლო ტექნოლოგია, რომელიც სწავლების მრავალფეროვან მიმართულებებს და პლატფორმებს მოიცავს; მათი სრულყოფილი ჩამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია: მულტიმედია სწავლება, დისტანციური სწავლება, ონლაინ სწავლება, m-learning, დიგიტალური სწავლება და სხვ [6]. თითოეული მათგანის ზუსტი დეფინიცია, ან მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების დადგენა ასევე სირთულეებთან არის დაკავშირებული. მეტიც, ტექნოლოგიის მუდმივად განახლებადი, ცვალებადი ბუნებიდან გამომდინარე, ბუნდოვანია, ამ მრავალფეროვან ფორმებს შორის მკვეთრი განსხვავებაც კი. მოორი თვლიდა რომ არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელის მიუხედავად, ყველას ერთი პრინციპი აერთიანებდა, განსხვავებას კი მიწოდების მეთოდი განაპირობებდა [7]. შესაბამისად ეს არის საგანმანათლებლო ტექნოლოგია, რომლის მიწოდების მთავარი წყარო არის ინტერნეტი [8]; ის დაიხმარს ტექნოლოგიას - ვიდეო, touch screen technology, online ხელსაწყოები, ან ნებისმიერი ტიპის მედია - სწავლების პროცესში. ის შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც საკლასო/აუდიტორიული მუშაობისას (ანუ მაშინ როცა მასწავლებელი/ლექტორი და მოსწავლე/სტუდენტი ერთ სივრცეშია), ისე ვირტუალურად და დისტანციურად (მაშინაც, როცა მასწავლებელი/ლექტორი და მოსწავლე/სტუდენტი სხვადასხვა სივრცეში იმყოფებიან). კურსის შინაარსი გადაეცემა სხვადასხვა მეთოდით, მულტიმედით, ვიდეოკონფერენციით, კურსისთვის სპეციალურად შექმნილი აპლიკაციით და სხვ [9].

ცხადია ისმის კითხვა **რამდენად რელევანტურია e-learning** გამოყენება სამუსიკო განათლებაში? და **რატომ** უნდა გამოვიყენოთ ის? მითუმეტეს როცა საუბარია მუსიკალურ განათლებაზე, ანუ იმ სფეროზე, სადაც ინდივიდუალური მეცადინეობების ხვედრითი წილი, მნიშვნელობა და ემოციური თანაზიარობა გადამწყვეტ როლს ასრულებს. სკეპტიკოსები ერთსა და იმავე კითხვას სვამენ: არის კი შესაძლებელი დისტანციურად ასწავლო ბეთჰოვენის სონატა, გაიარო საანსამბლო რეპეტიცია online, შეაფასო ვოკალური ხმის ხარისხი ან თუნდაც დაუკრა კამერული მუსიკა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მყოფმა ადამიანებმა? ტექნოლოგია ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. მაგრამ ჩვენ ზუსტად უნდა გვესმოდეს, რომ **e-learning** სრულიად არ ნიშნავს ინდივიდუალური კონტაქტის ჩანაცვლებას ტექნოლოგიურით. ის იმ ეტაპზე, რომელზეც აჟამად ვიმყოფებით იძლევა შესაძლებლობას ახლებურად გავიაზროთ სწავლებისა და სწავლის, მასალის მიწოდების, მისი ადაპტაციის და შეფასების პროცესი.

განათლების თეორეტიკოსი ჯონ დევი ამტკიცებდა რომ **სწავლა** შესაძლებელია მხოლოდ კოლაბორაციის დროს [10]. მის მსგავსად, ფსიქოლოგი ჟან პიაჟეს მიაჩნდა, რომ **სწავლება** თვალსაჩინო და გასაგები უნდა ყოფილიყო, სადაც **სწავლა** თანაბართა ურთიერთობისას იყო შესაძლებელი მხოლოდ [11]. სოციოლოგი ლევ ვიგოტსკი ასევე თვლიდა, რომ **სწავლებისა** და **სწავლის** დროს სოციალურ ინტერაქციას უდიდეს მნიშვნელობა ჰქონდა [12]. ყველა ეს მოსაზრება აქტუალურია სწავლებისა და სწავლის ყველა ტექნოლოგიისთვის, რომელიც e-Learning-ამდე არსებობდა ან მის შემდეგ იარსებებს. საუკეთესო **e-learning** სტანდარტი არავის შეუქმნია, ალბათ იმიტომ რომ ტექნოლოგია, ისევე როგორც განათლების ტექნოლოგიები, მუდმივად იცვლება. **e-learning** რომლე სახეობას, ფორმას გამოიყენებთ სრულად დამოკიდებულია ავტორის

ინტერნეტთან ურთიერთობის ხარისხზე, საინფორმაციო ტექნოლოგიის „ხელ-საწყობის“ გამოყენების უნარზე, ინფორმაციის მოძიების და ადაპტაციის ჩვევაზე, იმაზეც თუ რამდენად არის პედაგოგი ორიენტირებული კოლაბორაციულ/პარტნიორულ სწავლებაზე, ეფექტურ კომუნიკაციაზე, კრიტიკულ აზროვნებასა და კრეატიულობაზე⁷. ამასთანავე, **e-learning**-ი გვამდევს შესაძლებლობას, თუ მის მულტიმედიურ ან Flipped classroom ფორმას გამოვიყენებთ ერთდორულად მთელი მსოფლიო გვყავდეს აუდიტორიაში. ამ თვალსაზრისით, ცხადია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის სოციალური ინტერაქციის და ინტერნაციონალიზაციის ხარისხსაც უმაღლეს განათლებაში.

ცხადია ეს თვისებები საჭიროა როგორც მუსიკის სფეროში მოღვაწე, ისე სხვა სფეროებში მომუშავე პედაგოგებისთვის. მუსიკოსს, შემსრულებელი იქნება ის, კომპოზიტორი თუ მუსიკოლოგი, ისევე ჭირდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნარი, გათვითცნობიერება თანამედროვე გლობალურ მოთხოვნებში, როგორც მარკეტოლოგს, ან მომავალ დიპლომატს.

აქედან გამომდინარე, **e-learning**-ის გამოყენება თბილისის კონსერვატორიაში სრულიად შესაძლებელად მიმაჩნია შემდეგი მიმართულებით:

1. **e-learning**-ის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება ინდივიდუალურ სასწავლო კურსებში, ასე მაგალითად

- მისი, როგორც **მეთოდის გამოყენება** თეორიული, ისე ისტორიულ, ხალხური მუსიკის, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიის დისციპლინებში; ანუ **სალექციო/თეორიული შინაარსის მქონე საგნებში**

მაგალითად: სრულიად რეალისტურია მუსიკის ტექნოლოგიის სტუდენტებისთვის მუსიკის თეორიის სავარჯიშოების შეთავაზება online, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს თავად ამოავსოს მის ცოდნაში არსებული ხარვეზები⁸; ან მუსიკის ისტორიის იმ კურსში რომელიც მიმყავს (XX საუკუნის მუსიკის ისტორია) აბსოლუტურად შესაძლებელია კონსერვატორიის პარტნიორი უმაღლესის შესაბამისი ლექტორის ჩართვა ინტერპრეტაციის საკითხებთან მიმართებით და სხვ

- **e-learning**-ის, როგორც მეთოდის გამოყენება გადასაყვან გამოცდებზე, როგორც თეორიულ, ისე ისტორიულ დისციპლინებში

2. **e-learning**-ის როგორც სისტემის გამოყენება

- პორტფოლიოს მეთოდის დანერგვაში, რაც უკლებლივ ყველა სტუდენტს ესაჭიროება, როგორც საშემსრულებლო და საკომპოზიციო, ისე სამუსიკისმცოდნეო, მუსიკის ტექნოლოგიის და ჟურნალისტიკი სპეცილობის მიმართულებით

3. **ინსტიტუციის დონეზე**

⁷ 2016 წელს, ერასმუს+ პერსონალის გაცვლის ფარგლებში, მონაწილეობა მივიღე **e-learning**-ისადმი მიძღვნილ კონფერენციაში NEW TIME MUSIC, რომელიც გაიმართა დანიის სამეფო აკადემიის ორგანიზებით არჰუსში. აღნიშნული კონფერენცია იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ თავი მოუყარა **e-learning**-ის გარშემო არსებულ გამოცდილებას სწორედ მუსიკის აკადემიების მაგალითზე მსოფლიოს მასშტაბით; მონაწილეობდნენ სკანდინავიის მუსიკის აკადემიები, ბალტიისპირეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიები და აშშ უნივერსიტეტები. **e-learning**-ის შესაძლებლობები მეტად მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი სწავლების სხვადასხვა ფორმატში: ვიდეო ლექციებით დაწყებული online მასტერკლასებით და მულტიმედიით დამთავრებული.

⁸ <http://www.musictheory.net/exercises>

- online საგანმანათლებლო კურსების განთავსება ისეთ პორტალებზე, როგორცაა edX, Coursera. ეს განსაზღვრებით აქტუალურად მესახება ხალხური შემოქმედების სფეროს მიმართულებით.

ვფიქრობ საინტერესო იქნებოდა კონსერვატორიაში არსებული ქართული ხალხური შემოქმედების 60 კრედიტიანი კურსის ამ მიმართულებით განვითარება, რაც აამაღლებდა კონსერვატორიის ცნობადობას საერთაშორისო ასპარეზზე, ხელს შეუწყობდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას და აკადემიური პერსონალის განვითარებას

- ჩვენს პარტნიორ აკადემიებთან ერთად ერთობლივი **e-learning** კურსის შემუშავება და თსკ სასწავლო პროგრამაში არსებული ხარვეზების თანდათანობით გამოსწორება.

მთელი რიგი მიმართულებით კომპეტენციის ან აკადემიური რესურსის არ ქონა კომპენსირებადია პარტნიორი უმაღლესების რესურსის გამოყენების და მათთვის საკუთარს შეთავაზების ხარჯზე. მაგალითად დანიის სამეფო მუსიკის აკადემია (აარჰუსი/აალბორგი) და სიბელიუსის მუსიკის აკადემია (ხელოვნების უნივერსიტეტი, ჰელსინკი) ერთობლივად ახორციელებენ Global Music სამაგისტრო პროგრამას. მის ფარგლებში ორი აკადემია ზედმეტი ხარჯის გარეშე ახერხებს გამოიყენოს ერთმანეთის აკადემიური რესურსი: მთელ რიგ საგნებს კითხულობენ დანიელი ან ფინელი ლექტორები ორივე აკადემიის სტუდენტებისთვის ერთი საკლასი აუდიტორიის პრინციპით.

- e-learning ფინანსურად მომგებიანია. ზემოთ მოყვანილი მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა; აღნიშნული ლექციები პროფესორის დატვირთვაში შედის და ინსტიტუტი დამატებით ხარჯს არ წევს მის ასანაზღაურებლად.

- კონსერვატორიას ქვეყნის მასშტაბით შეუძლია გახდეს სამუსიკოს ხელოვნების გავრცელების და პოპულარიზაციის მთავარი აქტორი, ისეთი მძლავრი იარაღის გამოყენებით, როგორც ინტერნეტია. სამწუხაროდ დღეისათვის ინტერნეტის შესაძლებლობებს საერთოდ არ ვიყენებთ.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ შესაძლებლობებისა, რაც განხორციელებადია თსკ-ს რეალობის გათვალისწინებით; თუმცა მას გამოიწვევებიც თან ახლავს:

- არა შესაბამისი ინტერნეტ სერვისი
- უცხო ენის არ ცოდნა
- ინტერნეტთან ურთიერთობის გამოცდილების არ ქონა
- ადამიანური რესურსის არ ქონა
- საერთაშორისო ბაზრის არ ცოდნა და მასზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსის არ ქონა

ეს არასრული ჩამონათვალი ერთნაირად აქტუალურია თსკ-ს, როგორც აკადემიური (სწავლების) ისე სტუდენტური (სწავლის) რეალობისთვის. თუმცა ამ გამოწვევების მიუხედავად, **e-learning**-ის რომელიმე ფორმის რეალიზება შესაძლებლად მიმაჩნია კონსერვატორიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური და აკადემიური რესურსის პირობებშიც; მთავარია სწორ კორელაციაში მოვიყვანოთ არსებული შესაძლებლობები და სურვილები და სტრატეგიულად დავგეგმოთ მიმართულებები და განსახორციელებელი ეტაპები.

e-learning - ისთვის დამახასიათებელი "networked collaborative learning" (NCL) სრულად წარმოაჩენს პარტნიორულის, ქსელურისა და ტექნოლოგიურის ურთიერთმიმართებას. ამიტომ ვფიქრობ, რა სახეც არ უნდა მიიღოს **სწავლებისა და სწავლის** მომავალი ტექნოლოგიებმა, რა პროფესიასაც არ უნდა ეუფლებოდეს ადამიანი, მომავალი განათლების აქცენტი საქართველოშიც გაკეთდება **სწავლაზე** და არა **სწავლებაზე**; რადგან როგორც ჟან პიაჟე ამბობს: ყოველთვის როცა ვასწავლით, და ვამარაგებთ მათ (ბავშვებს/მოსწავლეებს/სტუდენტებს) მზა პასუხებით, სამუდამოდ ვართმევთ შანსს აღმოაჩინონ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი [13].

გამოყენებული ლიტერატურა

1. Molenda, M. "Historical foundations". In M. J. Spector, M. D. Merrill, J. Merriënboer, & M. P. Driscoll (Eds.), *Handbook of Research on Educational Communications and Technology* (Third., pp. 3–20). 2008, New York, NY: Lawrence Earlbaum Associates.
2. Lawrence Earlbaum Associates. Nye, D. *Technology Matters: Questions to Live With*. 2007, Cambridge MA: MIT Press.
3. Mason. R. and Kaye, A. *Mind weave: Communication, Computers and Distance Education*. 1989, Oxford, UK: Pergamon Press.
4. Bates, A. *Technology, e-Learning and Distance Education*. 2005, London: Routledge
5. Day, R; Payne, L. "Computer-managed instruction: an alternative teaching strategy.". 1987, *Nurs Educ.* 26: 30–6. PMID 3029349
6. Selwyn, N. *Education and Technology: Key Issues and Debates*. 2011 London: Continuum International Publishing Group.
7. Moore, J. L.; Dickson-Deane, C.; Galyen, K. "E-Learning, online learning, and distance learning environments: Are they the same?". *The Internet and Higher Education*. 14 (2): 129–135. 2011, doi 10.1016/j.iheduc.2010.10.001.
8. Moreno, R. & Mayer, R. "Cognitive principles of multimedia learning: The role of modality and contiguity". *Journal of Educational Psychology*. 1999, 91 (2): 358–368.
9. Kurbel, Karl: *Virtuality on the Students' and on the Teachers' sides: A Multimedia and Internet based International Master Program*; ICEF Berlin GmbH (Eds.), *Proceedings on the 7th International Conference on Technology Supported Learning and Training – Online Educa*; 2001, Berlin, Germany; November 2001, pp. 133–136
10. Dewey, John *Democracy and education: An introduction to the philosophy of education*. New York: The Free Press.; second edition (1997), published by the Columbia University, 1916, New York city
11. Piaget, Jean *The mechanisms of perception*. 2006, Abingdon, OX: Routledge.
12. Vygotsky, L. S. Rieber, R. W., ed. *The genesis of higher mental functions. The collected works of L.S. Vygotsky*. 1997, New York, NY: Springer. pp. 97–119
13. Piaget, Jean *The Psychology of Intelligence*; Translated by Malcolm Piercy and D. E. Berlyne; 2001, London and New York Questia; Routledge,